იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 88 „22" „ივნისი" 2021 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

   „1^1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო იურიდიულ დახმარებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, სამსახურის დებულებით დადგენილი წესით";

2. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თელავის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ტერიტორია“;

3. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ძალადაკარგულად გამოცხადდეს იურიდიული დახმარების საბჭოს 2016 წლის 5 მაისის N42 და 2019 წლის 30 აპრილის N62 და N64 გადაწყვეტილებები“;

4. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

თამარ გვარამაძე

ესმა ნორაკია

პავლე აბაიაძე

სოფო ჩაჩავა

ირაკლი გვარამაძე